ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №46

13.06.2024 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე.

სხდომას ესწრებოდა აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **გიორგი კობიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი;
3. **ოთარ ჩიტიძე** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. **დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ნარჩენებისა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ’ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 11 ივნისის №12-032416361-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 31 მაისის №12-032415215-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 30 მაისის №12-032415131-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 6 ივნისის №12-032415859-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 6 ივნისის №12-032415876-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

6. **მიმდინარე საკითხები:**

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 12 ივნისის №12-032416472-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

- „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტების შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 30 მაისის 12-032415132-03 წერილი)

/**მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ნარჩენებისა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი/

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

/**მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 11 ივნისის №12-032416361-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლევან მიქავამ.

მომხსენებლის (ლ. მიქავა) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - 1 490 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 490 000 ლარით და შეადგენს 2 009 879 600 ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 000 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 160 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 400 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 300 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 60 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 500 000 ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 336 000 ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) – 200 000 ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) – 100 000 ლარით, სხვა სოციალური

(დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) ქვეპროგრამის ასიგნებები - 80 000 ლარით, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) პროგრამის ასიგნებები - 50 000 ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 10 36) – 200 000 ლარით.

ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების ჩამონათვალს ემატება შემდეგი ახალი პროგრამები: თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 38) - 2 000 000 ლარით, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 39) - 1 300 000 ლარით.

მცირდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 3 000 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნებები - 160 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 400 000 ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნებები - 236 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 200 000 ლარით, "მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) (კოდი 10 23) პროგრამის ასიგნებები – 700 000 ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 24) - 2 000 000 ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 25) - 3 000 000 ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამაში, კერძოდ: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 3 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4881 ერთეულით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 11 ივნისის **№12-032416361-03 წერილით** წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 11 ივნისის **№12-032416361-03 წერილით** წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 31 მაისის №12-032415215-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა“ (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში'' (დანართი №1.11). კერძოდ, დიდი დიღმის III-IV მ/რ-ის სამხრეთ ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებით ,,A'' არეალში.

იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ.ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ „A“ არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2024 წლის 20 მაისის №19/0124141281-16 განცხადება, რომლის შესაბამისად, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია №01.10.06.001.129; №01.10.06.021.001 საკადასტრო ერთეულებზე ქალაქგეგმარებითი არეალის მოხსნა.

ვინაიდან, მიმდებარე არეალი უკვე განვითარებულია განაშენიანების რეგულირების გეგმებით და შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტები, გრაფიკული დანართით წარმოდგენილ კონტურში აღნიშნული რეგულირების საჭიროება აღარ არსებობს და წარმოდგენილი არეალი მოიხსნება დიდი დიღმის III-IV მ/რ-ის სამხრეთ ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებითი ,,A'' არეალის რუკიდან №01.10.06.001.129; №01.10.06.021.001 საკადასტრო ერთეულებზე და ასევე, სააგენტოს ინიციატივით აღნიშნული საკადასტრო ერთეულების დასავლეთ ნაწილში არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 31 მაისის **№12-032415215-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (დანართი 1.11 - შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკის) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 31 მაისის **№12-032415215-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტის (დანართი 1.11 - შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკის) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 30 მაისის №12-032415131-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 29 მაისის №24.908.1046 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №01240714373-67; №01241414173-67; №01241353918-67; №01241353524-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01240714373-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის №11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.004.015) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.10.11.004.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მასზე განთავსებული ობიექტის არსებული ფუნქციით სამშენებლო განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 21 მარტის №0124081990 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტოდ წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2024 წლის 14 მარტის №01240743564 წერილით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონირება, საპროექტო ტერიტორიის ფაქტობრივი ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტო, 2024 წლის 27 მაისის №61-01241481765 წერილით, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სააგენტო გასცემს აღნიშნულ თანხმობას იმ პირობით, რომ აუქციონზე შეძენილ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.004.015) განხორციელდება სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავე უძრავ ქონებაზე სატრანსპორტო ზონა 2-ისა (ტზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნის გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებას შორის სხვაობის გადახდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის №11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.004.015) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია, იმ პირობით, რომ აუქციონზე შეძენილ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.004.015) განხორციელდება სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავე უძრავ ქონებაზე ფუნქციური ზონის ცვლილებით/მოხსნით განპირობებულ ფასთა შორის სხვაობის გადახდა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01241414173-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.019.757) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო

ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.11.04.019.757 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 28 მაისის №01241491257 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.019.757) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01241353918-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კოტე მესხის აღმართისა და აღმაშენებლის ქუჩის, გადაკვეთაზე; ქალაქ თბილისში, კოტე მესხის ქუჩა №30-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, კოტე მესხის ქუჩა №28; ქალაქ თბილისში, კოტე მესხის აღმართზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.019.070) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

№01.15.05.019.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში მასზე ორბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 24 მაისის №01241451843 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 მაისის №60-01241493335 წერილის მიხედვით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილების თანახმად, აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი №19, 23.05.2024წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქალაქ თბილისში, კოტე მესხის აღმართისა და აღმაშენებლის ქუჩის, გადაკვეთაზე; ქალაქ თბილისში, კოტე მესხის ქუჩა №30-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, კოტე მესხის ქუჩა, №28; ქალაქ თბილისში, კოტე მესხის აღმართზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.019.070) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კოტე მესხის აღმართისა და აღმაშენებლის ქუჩის, გადაკვეთაზე; ქალაქ თბილისში, კოტე მესხის ქუჩა №30-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, კოტე მესხის ქუჩა №28; ქალაქ თბილისში, კოტე მესხის აღმართზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.019.070) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01241353524-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.01.009.005; №01.14.01.009.004) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.14.01.009.005; №01.14.01.009.004) გაცვლის ფორმით პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 22 მაისის №01241433107 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.14.01.010.001 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

კომისიის წევრების მიერ სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება და კენჭისყრაზე დადგა, მითითებული ზონის ცვლილების, ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით, გადადების წინადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნა** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.01.009.005; №01.14.01.009.004), ასევე, №01.14.01.010.001 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის წინადადება (**№01241353524-67 განცხადება);**

2. **რეკომენდაცია გაეწია** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 30 მაისის **№12-032415131-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01240714373-67; №01241414173-67; №01241353918-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 6 ივნისის №12-032415859-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 5 ივნისის №24.960.1089 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 8 წინადადება - №01241353874-67; №01241234259-67; №01241361430-67; №01241513056-67; №01241422735-67; №01241343366-67; №01241091868-67; №01241513027-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01241353874-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა №12ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.025.033) ნაწილზე მოთხოვნილია სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2)

სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

№01.11.04.025.033 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის სამრეწველო ფუნქციით განვითარება.

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სპეციალური ზონა 2 (სპეცზ–2) წარმოადგენს სპეციალურ ქვეზონას, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ სასაფლაო გამოყენების ტერიტორიებს.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია ემიჯნება უშუალოდ სასაფლაოს, №01.11.04.025.033 საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილზე, ხარვეზის სახით, ვრცელდება სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2), რომელიც არ არის გათვალისწინებული სასაფლაოს მოწყობისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 28 მაისის №01241491183 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა №12ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.025.033) ნაწილზე სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01241234259-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ზურაბ დობორჯგინიძის ქუჩა №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.23.016.105) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის შემდგომი ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 5 ივნისის №0124157858 წერილით, ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის გათვალისწინებით საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ ღობეზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ქვეზონის დადგენილი კონფიგურაცია დაკორექტირდეს შემდეგნაირად: სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს №01.19.23.016.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გასწვრივ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივ გზაზე.

ვინაიდან სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) აცდენილია ფაქტობრივად არსებულ გზის კონტურსა და ტერიტორიაზე არსებულ გზათა ქსელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირებას განიხილავს მიმდებარე ტერიტორიაზეც, კერძოდ, გზათა ქსელისა და ფაქტობრივად არსებული გრუნტის გზის გათვალისწინებით კორექტირდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) №01.19.23.016.720 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზურაბ დობორჯგინიძის ქუჩა №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.23.016.105) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, №01.19.23.016.720 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01241361430-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მუხიანი 2-ის დასახლებაში, გამარჯვების ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.10.032) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

№72.13.10.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანია საკადასტრო საზღვრებში არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება, ფაქტობრივად არსებული გზის გათვალისწინებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 5 ივნისის №0124157855 წერილით, ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი "SHP" ფაილის გათვალისწინებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობაზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობს შენობა-ნაგებობა, რომელიც აშენებულია შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს და არ წარმოადგენდა გზის ნაწილს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხიანი 2-ის დასახლებაში, გამარჯვების ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.10.032) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01241513056-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მიხეილ თამარაშვილის გამზირის №4ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.010.003) მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

№01.14.07.010.003 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 4 ივნისის №01241563589 წერილით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობაზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მიხეილ თამარაშვილის გამზირის №4ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.010.003) მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01241422735-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი, №42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.32.001.038) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.19.32.001.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში მისი პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 27 მაისის №01241483575 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი, N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.19.32.001.038) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

